ინტერაქცია

„დაიჭირე ღიმილი“

დასხედით წრეზე, აირჩიეთ თამაშის დამწყები, რომლმაც პირველ რიგში თვალით კონტაქტი უნდა დაამყაროს მის მიერ არჩეულ მონაწილესთან და გაუღიმოს. შემდეგ, მან რომელმაც „ღიმილი დაიჭირა“ უნდა გადსცეს ღიმილი სხვა წევრს, მან კი სხვას, სანამ ყველა მონაწილე არ „დაიჭერს ღიმილს“ :)

„თამაში ლობიოს ტომრით“- სთხოვეთ ბავშვებს დასხდნენ წრეზე და წრის შუაში დადეთ „ჰულა-ჰუპი“. სთხოვეთ ბავშვებს გადასცენ ტომარა ერთმანეთს და დაელოდონ თავისი სახელის გაგონებას. თქვენ უნდა დაასახელოთ ბავშვების სახელები და როდესაც იმ ბავშვის სახელს იტყვით, რომელსაც ხელში ტომარა უჭირავს მან ტომარა „ჰულა-ჰუპში“ უნდა ჩააგდოს. შეეცადეთ ცვალოთ თქვენი ხმის ტემბრი - თქვით სხვადასხვა სახელები, ხან სწრაფად ხან ნელა, ზოგჯერ დაასახელეთ არასწორი სახელი ან სასაცილო სიტყვები, რომ

დააინტერესოთ და მოსმენისთვის წაახალისოთ ბავშვები. იგივე თამაში სხვნაირადაც შეგიძლიათ ითამაშოთ, ყველა ბავშვს დაურიგოთ ლობიოს ტომარები, და ამ შემთხვევაში ისინი მხოლოდ თავისი სახელის გაგონებას დაელოდებიან, რომ ისროლონ ტომარა „ჰულა-ჰუპში“.